



№ 6

9 თებერვალი 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ.

ჩიური და სალიტერატურო შურონალი

წელიწადი მესამე

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9-3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. მიწის სკითხი.—ტყვიანი. 2. სოდომი.—ეკალისა. 3. ზრესა.—შ. ა - სი.
4. შორიდან.—დუტუ მეგრელისა. 5. მოუფიქრებელი ნაბიჯი.—* *—სა. 6. ნინი-
- ას ფიქრები.—(მოთხრობა) რ. ფავლენიშვილისა. 7. კატასტროფა მანთაშევის „ამუ-
- რანში“.—თრიტინასი. 8. უკანსკნელი ამბები. 9. შეტოქენი.—(თარგმანი) გ. ნა-
- მორაძისა. 10. ღია ბარათი კ. უიფიანს.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო შურონალ

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

მიწის საკითხი

(სოციალიზაცია, მუნიციპალიზაცია, ნაციონალიზაცია და კერძო საკუთრება).

ბევრს გაუკვირდება და უცნაურად მოეჩვენება ის, რის დამტკიცებაც შეადგენს ამ წერილის მიზანი: ჩემის აზრით სოციალიზმთან კერძო საკუთრება უფრო ახლოს არის, ვიდრე მიწის სოციალიზაცია, მუნიციპალიზაცია ან ნაციონალიზაცია.

ეს უკანასკნელი აგრარული იდეალები რუსეთის „ესერებისა“ და სოციალ-დემოკრატებისაგან არის ნასესხები, ხსენებულმა პირტიებმა კი ისესხეს რუსთ „ხალხოსანთაგან“.

მიწის სოციალიზაცია, მუნიციპალიზაცია ან ნაციონალიზაცია წარმოადგენენ დაახლოებით ძველს სათემო მიწის მფლობელობას.

როდესაც ნახევრად ეული ხალხი დაბინადებოდა, დამკვიდრდებოდა სადმე, მიწა საერთო საკუთრებად გამოცხადდებოდა ხოლმე და, ვინც სად გაჰკავავდა და დაბარავდა, ისვე ჩაიგდებდა ხელში მის მიერ დაჭერილ მიწას.

შემდეგ, როდესაც სახელმწიფომ სამამულო გადასახადების განაწილებაში საერთო თავმდებობა დააწესა, ე. ი. გადასახადები დაადო თემს და არა კომლსა და ყველას, მდიდარსა და ღარიბს. თანასწორი ტვირთი ხვდა წილად, — დაწესდა საერთო მფლობელობა მიწისა: ცხადია, რადგანაც თანასწორი იყვნენ გადასახადების გაღებაში, თანასწორადვე უნდა გაყოფილიყო მიწაც.

აი სად არის წყარო საერთო მიწის მფლობელობისა, რომელიც იდეალად დაისახეს რუსეთის „ხალხოსნებმა“ და შემდეგ მცირეოდენი შეცვლით რუსეთის სოციალისტებმაც.

და ეს იდეალი აღმოცენებული უცხო ნიადაგზე კრიტიკის მიერ ხელშეუხებლად შეიწყნარეს და შეიტანეს თავის პროგრამებში ქართველმა სოციალისტებმაც.

სოციალ-ფედერალისტებსაც სწამთ სოციალიზაცია, სოციალ დემოკრატებს მიწის მუნიციპალიზაცია, ან ნაციონალიზაცია. არსებითად მათს აგრარულ იდეალებს შორის არავითარი განსხვავება არ არის.

ამგვარად ძველი, დრომოკმული, პირველ ყოფილი მიწის მფლობელობა დაედო საფუძველად თანამედროვე სოციალისტურ იდეალებს. და ამას

ხელს უწყობდა ჰეგელის ეგრედ წოდებული „ტრიადა“, რომელსაც აღიარებდნენ მარქსი, ენგელსი, ჩერნიშევსკი და მათი მიმდევარნი.

ჩერნიშევსკი იმასვე ამბობდა საერთო მიწის მფლობელობის შესახებ რასაც კარლ მარქსი კაპიტალიზმის დამხობის შესახებ.

კარლ მარქსის აზრით კერძო საკუთრება, რომელიც არის საფუძველი თანამედროვე ეკონომიური ურთიერთობისა, თავისი უკიდურესი განვითარებით თავისთავსავე უარყოფს და ამ უარყოფისაგან დაიბადება სოციალიზმიო. კერძო საკუთრება უარყოფა საერთო საკუთრებისა, მაგრამ შემდეგ თავისთავსავე უარყოფს, და ეს უარყოფის უარყოფა შეიქმნა სოციალიზმსო. სოციალიზმი კი არის შეერთება, ე. ი. სინტეზი კერძო საკუთრებისა და მისის უარყოფისაო და სხ.

ჩერნიშევსკი ამბობს: პირველად იყო პირველყოფილი მიწის მფლობელობა, შემდეგ იქნება სოციალიზმიო, ჰეგელის სამრგოლიანი ჯაჭვის შუარგოლი კი შეიძლება იქნეს გამოკლებულიო, რადგანაც სრულიადაც არ არის საჭირო, რომ ეს შუა საფეხურიც გაიაროს ჰეგელისებურმა „ტრიადამო“. ამიტომ სათემო მიწის მფლობელობა შეიძლება პირდაპირ გადაახტეს შუა საფეხურს და გარდაიქმნეს სოციალიზმადო.

ესეთი სქოლასტიკა უღვეს სარჩულად რუსულსა და ქართულს სოციალისტურ პროგრამებს.

მაგრამ ჰეგელის „ტრიადამ“ კაი ხანია, ჩილურის წყალი დალია.

დღევანდელ მსოფლმხედველობას ენერგეტიული და მექანიკური პრინციპი ახასიათებს და არა სქოლასტიკური აბდა-უბდა, და სამეცნიერო კვლევა ძიების ერთად ერთ გზად ცდა და დაკვირვება აღსარებული.

ისტორია და ეტნოგრაფია კი გვეუბნებიან: მიწა წვრილი მესაკუთრე მიწის მუშის ხელში უფრო ნაყოფიერია, ვიდრე მოიჯარადრის, დიდი მესაკუთრის ან თემის ხელში.

ეს ადვილი გასაგებიცაა. როგორც მეთვრამეტე საუკუნის უდიდესმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა აღნიშნა, უმთავრესი ღერძი, ამამოძრავებელი და შემქმნელი კაცის ენერჯისა—მისი კერძო ეკონომიური სარგებლობა არის.

მოიჯარადრე რომელსაც დროებით უჭირავს მიწა, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი წვენი გამოსწვოს მამულს, რადგან ნიადაგის დაზოგვა მისთვის ხელსაყრელი არ არის.

როდესაც მიწა თემის საერთო მფლობელობაშია, არავის არ აქვს ხალისი გააუმჯობესოს წარმოების წესი, გაანაყოფიეროს ნიადაგი, ან გააზენოს ისეთი მოსავლიანი მცენარე, რომელსაც დიდი შრომას სჭირდება, რადგან იცის, რომ ოდესმე მის მიერ მოვლილ მამულს სხვა დაეპატრონება.

და, როდესაც დიდ მემამულეს უჭირავს უზარმაზარი მამული, ე. ი. ლათიფუნდია, ცხადია, ესეც ხელს უშლის მიწის ნიადაგის განაყოფიერებას, რადგანაც, დაუსახლებელ მამულზე არა სწარმოებს ბუნებრივი მიმოცვლა ნივთიერებათა კაცსა და მიწის შორის. მაგალითად, სადაც მოსახლე არ არის, იქ არც საქონელია და მაშასადამე, არც ნაკელია, და არავითარს ხელოვნურ განაყოფიერებას არ შეუძლია შეავსოს ეს ნაკლი. (იხ. ამის შესახებ კ. მარქსის „კაპიტალის“ მესამე ტომი).

დიად! ქვეყანა დაიმორჩილა, ე. ი. განაყოფიერა და ბაღად გარდაქმნა წვრილმა მემამულემ. მეტადრე მაშინ არის ნაყოფიერი მიწის მუშის შრომა, როდესაც ის კერძო მესაკუთრეა, რადგან კერძო საკუთრება შობს ხალისსა და შემოქმედებითს ენერჯის.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით უკიდურესი მემარცხენე პარტიების პროგრამები-

რას ამბობენ მიწის სოციალიზაციის მომხრენი? მიწა ეკუთვნის თემს. თვითეულ წევრს იმდენი უნდა მიეზომოს, რამდენის დამუშავებაც შეუძლია თავისი ხელითო. მაგრამ, ეს პროგრამა რომ განხორციელდეს, შეუძლებელი იქნება მეურნეობის განვითარება. ვთქვით ვაჟი არა მყავს და ვიცი, რომ ჩემი ქალიშვილები მიწას თავისი ხელით ვერ დაიმუშავებენ. მაშასადამე, ჩემ მემკვიდრეებს მიწა ჩამოერთმევათ და მაშინ კი რისთვის უნდა გააუმჯობესო წარმოება, რისთვის უნდა ჩავღვარო ჩემი შრომა და თანხა იმ მიწაში, რომელსაც ხელიდან გამოსტაცებენ ჩემს მემკვიდრეებს?!

და, თუნდა ვაყებიც მყავდეს, თუ კი მათ ხელოვნებად ან მეცნიერებად აღვზრდი, ისინიც ხომ დაჰკარგავენ უფლებას მამულზე, როგორც არა მიწის მუშანი! მაშასადამე თუ არ მინდა, მამული დავუკარგო, უთუოდ მიწის მუშებად უნდა აღვზარდო!..

ამგვარი მდგომარეობა კი ყოველი მხრით ხელს შეუშლის და შეაფერხებს არა მარტო მეურნეობას, არამედ მთელი საზოგადოების წინსვლას, პროგრესს.

თითქოს იგივე შეიძლება ითქვას მაშინაც, მი-

წა რომ თანასწორად იქმნას განაწილებული და ყოველს თხუთმეტ წელს კიდევ ხელახლა გაყოფილი.

მაშასადამე სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და სოციალისტ-ფედერალისტების მიერ აღსარებული სოციალიზაცია მიწისა უარყოფილი უნდა იყოს.

შევვხვით ახლა სოციალ-დემოკრატიის ეგრედ წოდებულ „მიწის მუნიციპალიზაციას“. მიწა უნდა გადავიდეს ერობის ხელში. ერობა იქნება ერთადერთი მესაკუთრე მიწისა. მიწა იჯარით მიეცემა მოიჯარადრეებს, და იჯარა მოხმარდება საერობო საქმეებს. აი რა არის მუნიციპალიზაცია.

მაგრამ ჩვენ ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ მოიჯარადრე მტერია მიწისა, რადგან ცდილობს, რაც შეიძლება მეტი წვენი გამოსწოვოს ნიადაგს, და, ცხადია, მის ხელში მოკლე ხნის განმავლობაში მთლად გამოიფიტება მიწა.

შეიძლება გვითხრან, მოიჯარადრეებს საუკუნოდ, საშვილიშვილოდ მიეცემათ მიწაო, მაგრამ ეს შეუძლებელი იქნება, რადგან, ვინც იჯარას დროზე ვერ გადაიხდის, მას მიწა უთუოდ ჩამოერთმევა და სხვის ჩაბარდება.

კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ, წარმოუდგენელი და ვიფიქროთ, რომ წვრილი მოიჯარადრეების უმეტესობა არ გაკოტრდება და მისი დამოკიდებულობა მიწასთან საუკუნო იქნება, მაშინ ხომ საუკუნოვე იქნება მეურნეობის ჩამორჩენა.

მართლაც, რატომ მაინცა და მაინც მარტო მიწამ უნდა იხადოს ერობის სასარგებლოდ იჯარა?! და რატომ უნდა იყოს განთავისუფლებული ამ გადასახადისაგან მოძრავი ქონება?!

ძველად, როდესაც დღევანდელ ორთქმავალთა და რკინის გზათა რიცხვი შედარებით მცირე იყო, და მსოფლიო ბაზარი არ წარმოადგენდა ჯერ ერთს გაერთიანებულს სავაჭრო მოედანს, მემამულეს შეეძლო თავისი მამულის ნაწარმოები იმ ფასად გაეყიდა, რომ იქ ჩაყრილი კაპიტალის სარგებელიც ამოეგო და კიდევ ზედმეტიც აეღო. მაშასადამე, მიწა თავის-თავად უკაპიტალოდ აძლევდა პატრონს განსაზღვრულ შემოსავალს, რომელსაც ეწოდებოდა რენტა.

ერთი სიტყვით რენტის წარმოშობის მიზეზი ორი იყო. ერთი — კერძო საკუთრება მამულზე, მეორე — სამეურნეო ბაზრის ვიწროობა.

დღეს კი ამერიკა, აზია, ავსტრალია, და ევროპა ერთმანეთს ეცილებიან. ყოველ თავში მოდის საიდანმე პური, ბრინჯი, სიმინდი და სხ. ევრო-

პის სამეურნეო ქირნახულმა დაჰკარგა უპირატესობა.
რენტა მოისპო და მემამულეს უპირატესობა
აღარა აქვს კაპიტალისტზე.

ტყვია.

(შემდეგი იქნება)

ს ო დ ო მ ი

ნუ მიიხედავთ დღევანდელ ქართულ ცხოვრე-
ბისაკენ, თორემ გაქვავდებით!
გაქვავდებით საშინელებისაგან!
ქართულ ამღვრეულ ცხოვრების დანახვისაგან!
ქირი დაერია ლხინსა,
უქკუობა—გონიერებას,
ბოროტება—პატიოსნებას,
ლაჩრობა—მამაცობას,
დაერივნენ და შეერივნენ ისე, რომ ველარას
არჩევთ...

სად არის ლხინი, სად არის ქირი,
ვინ არის ჭკვიანი და ვინ სულელი,
ვინ ბოროტი—ვინ პატიოსანი,
ვინ მტერი ქვეყნისა,
ვინ მოყვარე?!

აიმღვრა ქართული ცხოვრება!

ქართველი მასწავლებელი ქალი უსაყვედურებს
ქართველ კაცს:

შენ რატომ სთქვი, რომ შობა დღეს ქართ-
ველი ბავშვები რუსულად არ უნდა ამღვროვო?

მითომ საცოდავებს არ ესმითო?!

შენ ქართველ ბავშვებისთვის რუსულ ენის სა-
წინააღმდეგო სიძულვილის ჩანერგვა გინდა!

აბა გაარჩიეთ ვინ არის აქ ჭკვიანი და ვინ
სულელი?

ვინ ბოროტი—ვინ პატიოსანი?

ან და დააქვრდით მეორე სურათს.

გუშინ საქართველო კაცს აღიდებდა, თაყვანს
სცემდა, გმირად აცხადებდა.

დღეს ათიოდე დაბრმავებული ქართველი შეუ-
რაცხპყოფს მას, აფურთხებს და აშავებს.

რათა? რისთვის? რა მიზნისთვის?

ვინ იცის! აიმღვრა წყალი, აიმღვრა ცხოვრება
და ბნელ მორევში ძლიერებმა თავიცი იჩინეს.

ვინ არის აქ ლაჩარი და ვინ მამაცი?

ან, ბოროტი და პატიოსანი?

ვინ იცის?

ერთმა პარტიამ მეორეს შესძახა:

შენი დეპუტატი აფერისტიაო!

მეორემ გადმოსძახა:

სანამ პეტერბურლიდან საბუთები არ მოგვივაო
არ ვიცით ჩვენი დეპუტატი მართლა აფერისტია
თუ არაო.

საშინელი ბრალდება

საშინელი პასუხი.

აიმღვრა ქართული ცხოვრება!

მოსკოვში წაბრძანდნენ „დემოკრატიული
დესპანნი.“

რუსეთისთვის საქართველოს ავტონომიის ტე-
რიტორიალური რუკის წარსადგენად.

მაგრამ სამწუხაროდ რუკა თბილისში დაა-
ვიწყდათ და

მოსკოვში იყიდეს.

გვიჩვენეთ თქვენი ქვეყნის მომავალი ავტონო-
მიის საზღვრებიო—სთხოვეს.

ერთმა „დესპანმა“ ამოიღო უბიდან დაღრღნი-
ლი კარანდაში, გადაშალა კავკასიის ოფიციალური
კალენდარი (სადაც პოლიციის ცნობებით მცხოვ-
რებთა „სტატისტიკა“ შედგენილი).

და შემოხაზა საქართველოს რუკა:

ჩამოაჭრა ნახევარი ზაქათალა, ბორჩალო, ახალ-
ქალაქი და, როცა ჯერი მიდგა შავი ზღვის ნაპირე-
ბზედ, „დესპანს“ დაავიწყდა სამეგრელო-აბხაზეთის
საზღვარი და ღიმილით ხაზი გაუსვა—„სამსონის
ხაზი“ და ნახევარი აბხაზეთი შავი ზღვის ნაპირებით
ვილასაც გაუბოძა...

ეს რუკა დესპანებმა თავის პირველ ელჩს,
სათათბიროს დეპუტატს გადასცეს და შეუთვა-
ლეს:

სასტიკად დაიცავი ეს „საქართველოს“ საზ-
ღვრებიო!

აბა გაარჩიეთ ეხლა, ვინ არის აქ უქკუო და
ვინ გონიერი.

ვინ ქვეყნის მტერი და ვინ მოყვარე?

ვერ გაარჩევთ,

რადგანაც ქართული ცხოვრება—სოდომია,

სადაც ყველაფერი არეულია,

სადაც ყველაფერი შესაძლოა,

სადაც არაფერია აკრძალული.

ნუ მიიხედავთ ქართულ ცხოვრებისაკენ—გაქ-
ვავდებით...

ეკალი.

ზ რ ე ს ა

ბ-ნმა არ. ჯ — შვილმა თავისი წერილები „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“ უცნაურად დაათვა. ვამბობთ, „დაათვა“, თუმცა არც დასაწყისი იყო, მაინცა და მაინც, დასაბუთებული. არ. ჯ — შვილის მთავარი შეცდომა ის არის, რომ ყურნალ „კლდის“ პოზიციის გამოკვევა და პროგრამის დახასიათება იღვა თავსა.

თურმე რაც ამ წელიწად-ნახევარში გვიწერია, მარტო „ბუზლუნი“ ყოფილა.

ეს გახლავთ პირველი დახასიათება.

მეორე დახასიათება ბ. არ. ჯ — შვილმა იმაში გამოჰხატა, რომ თურმე ჩვენ ერთ რამეში „ძალიან შემცდარი ვართ.“

„ძალიან შემცდარი იქნება (კლდე) თუ იფიქრებს, რომ ქართველი ბურჟუაზიის დღევანდელი მისწრაფება შეიძლება ერის პროგრამად გადაიქცეს და სხვა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ადგილი დაიჭიროს.“

ნეტავი თუ რომელ პოლიტიკურ ჯგუფებზედ ლაპარაკობს ბ-ნი არ. ჯ — შვილი?

ვიციტ რომლებზედაც!..

„ერთია მეტად ლამაზი...“

მეორე ასეთი არის, დამყენებელი თვალისა!“

მაგრამ ღმერთი, რჯული — „სულის თქმა ჩვენი თქვენსა იქით ეძიებს სადგურს“.

ჩვენ პირველად გვიხდება, როგორც ნაციონალიზმის, ისე ინტერნაციონალიზმის ასეთი განმარტების კითხვა.

უფრო სასაცილოა — თუ რად უნდათ ს.-ფედერალისტებს ეროვნული თავისუფლება.

— სოციალიზმისთვის!

ამას „სახალხო გაზეთს“ თუმცა არავინ არ დაუჯერებს, მაგრამ მაინც ამბობენ.

ეროვნული საკითხი, მეთოდები მის გადაწყვეტისა და საშუალებანი მისი ბრძოლისა ისევე ძველია, როგორც თვით ერი. ეროვნულ უფლებათათვის ერები მუდამ იბრძოდნენ და იბრძოდნენ იმიტომ, რომ თვით ეს უფლებანი იყვნენ მათთვის საჭირონი. მეორეს მხრივ, ძველ ერებსაც ჰქონდათ იდეალები, რომლისკენაც ისინი მიისწრაფოდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ძველად ერებს ქრისტიანული სასუფეველი და საიქიო ჰქონდათ იდეალად, ისე როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთ ნაწილს

სოციალიზმი აქვს დასახული იდეალად, მაგრამ არც ერთ თეორეტიკოსს ეროვნულ ბრძოლისას არც ერთხელ არ უთქვამს ძველად, რომ ეროვნული თავისუფლება იმიტომ იყო საჭირო, რომ უფრო უკეთ შესულიყო სასუფეველში და საიქიოში.

ფედერალისტები კი სწორედ ამას ამბობენ!

ძალაუნებურად გვებადება ერთი კითხვა:

— რას იზამენ ფედერალისტები, რომ ეროვნული თავისუფლება მართლაც მიიღონ და სოციალიზმი კი ვეღარ განახორციელონ?

პასუხი ერთად-ერთია:

— ისინი ისეთი ქეშმარიტი სოციალისტები არიან, რომ დარდით სულ თავებს ჩამოიხრჩობენ! მაშ!..

შ. ა.

შ ო რ ი დ ა ნ

ქართულ წიგნების გავრცელების შესახებ.

ბ-მა ივ. გ. ავალიშვილმა თავის წერილში „წიგნების გამომცემლების საყურადღებოდ“. („სახ. გაზ.“ №№ 1100 და 1101) ის აზრი გამოსთქვა, რომ წიგნის გავრცელება ხალხში, გასყიდვა, დამოკიდებულია წიგნის ფასიდან დათმობის რაოდენობაზე; ამიტომ „სკიდკა“ წიგნის ვაჰარს, რაც შეიძლება მეტი უნდა დაეთმოს, რომ მან იმის გაყიდვით ხეირი, — მოგება ნახოს და გასასყიდად გამომცემლისაგან აქეთ-იქით გაიფანტოს წიგნები, რომ ხალხი მას ადვილად მისწვდესო.

რასაკვირველია, წიგნის ვაჰარს შესაფერი ო უნდა დაეთმოს და მე მგონი, რომ ბევრი ჩვენი გამომცემელი 30—40%-ს სიამოვნებით დაუთმობდა, რომ ვაჰარი ნაღდ ფულად ყიდულობდეს წიგნებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ნაღდ ფულად წიგნებს არ ყიდულობენ; საკომისიოდ იღებენ და უმეტეს შემთხვევაში გამომცემელს ანგარიშს აღარ უსწორებენ. ამიტომაც არის, რომ გამომცემელს წიგნები ვერსად გაუგზავნია გარდა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიისა, რომელიც პირნათლად უსწორდება ყველას, და ამ მაღაზიაში-კი წელიწადში აბა რამდენი წიგნი უნდა გაიყილოს?

სრულს ქეშმარიტებას დაღადებს ბ. ავალიშვილი, „რომ წიგნი ისეთი უსაჭიროესი ნივთი როდია, როგორც არის, მაგალითად, მარლი, რომლის გუ-

მოუფიქრებელი ნაბიჯი.

თბილისის მაზრის მარშლის არჩევნები სამწუხაროთ შედეგით დამთავრდა. ვერ გავიდა მარშლად გენერალი ვ. დ. გაბაშვილი, რომლის კანდიდატურა წამოყენებული იყო ერთის ჯგუფისაგან. ლაპარაკი იმაზედ, რომ მის ნაცვლად მარშლად არჩეული იქმნა თავ. სუმბათაშვილი, რომელზედაც მისი ნაცნობები ბჭურ კარგს ლაპარაკობენ, ჩვენ ნუგეშად არ მიგვაჩნია, რადგანაც თავად სუმბათიშვილმა ყველა ჩვენ იმედებსაც რომ გადააქარბოს, ამით ძირითადი შეცდომა ვ. დ. გაბაშვილის გაშვებისა, არ გამოსწორდება.

რადგანაც ამ არჩევნებმა ზოგიერთ სფეროებში შეიძლება სხვა შთაბეჭდილება მოახდინოს, საჭიროდ მიგვაჩნია განმარტება ამ არჩევნებისა. საზოგადოებრივ მნიშვნელობის თვალსაზრისით და მომენტის შეფასების თვალსაზრისითაც გენერალ გაბაშვილის დამარცხებამ ქეშმარიტი გულის წყრომა უნდა გამოიწვიოს ყველა შეგნებულ ადამიანში, რომელშიც პირად ინტრიგას გონება მთლად არ დაუბნელებია და რომელშიაც რამე ტაქტი არსებობს. გენერალ გაბაშვილის კანდიდატურას თავის ლოლიკა ჰქონდა. ვინც ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ მოვლენებს და ამ მოვლენათა განვითარებას, მას არას გზით არ შეეძლო მოსვლა გაბაშვილის საამრჩევნო ყუთთან თუ არ თეთრის კენჭით. მაგრამ ამომრჩეველთა უმრავლესობა გაბაშვილის ყუთთან შავის კენჭით მივიდა და ამით დამტკიცა, რომ შავი კენჭის გარდა მას შავი და ბნელი ფიქრებიც ჰქონია. რათ მოხდა ეს? მიზეზები მრავალია, ყველას არ შევხებით, მაგრამ უმთავრესები კი უნდა აღვნიშნოთ. რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშეს ამ არჩევნებში ტიპიურ ქართულ ინტრიგის იმ აგენტებმა, რომელთა დაუხმარებლად ჩვენში არც ერთი არჩევნები არ ხდება. ესენი არიან ის პროფესიონალური ინტრიგანები, რომლებიც მთელ თავის საზოგადოებრივ მოღვაწეობას მღვრიე წყლით ნაზელ ტალახზედ აშენებენ. მეორე მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენს საზოგადოებაში მრავლად არიან ისეთი პატივცემულნი პირნი, რომლებიც თავის თავს ყველა თანამდებობის კანდიდატად სთვლიან და არავითარ ანგარიშს არ უწევენ არც დროს, არც გარემოებას. ამას შედეგად ის მოსდევს, რომ შეუძლებელი ხდება ნორმალური საარჩევნო შეჯგუფება სხვა და სხვა წრეებს შორის. მესამე, მაგრამ ყველაზედ მთავარ

მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ყოველთვის შესაძლო იყო ისეთი სულის კვეთების შექმნა, როცა ვ. დ. გაბაშვილის დამარცხებას ადგილი აღარ ექმნებოდა, და ეს კი არავინ იდო თავს. თუმცა არჩევანი მარტო თბილისის მაზრის აზნაურთ ეხებოდა, მაგრამ ვ. დ. გაბაშვილის კანდიდატურამ ამ არჩევნებს ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა მისცა და დებუტატთა საკრებულო და მეტადრე გუბერნიის მარშალი მოვალე იყვნენ ანგარიში გაეწიათ ამისთვის. საჭირო იყო წინასწარი თათბირი და შეთანხმება. ამ თათბირს შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ ან თვით ჯგუფი წაიღებდა უკან ვ. დ. გაბაშვილის კანდიდატურას, ან ყველა ჯგუფები შეთანხმდებოდნენ მის კანდიდატურაზედ და ორივე შემთხვევაში ვ. დ. გაბაშვილის უაზროდ დამარცხებას ადგილი აღარ ექმნებოდა. მაგრამ მათ, ვისაც ეს უნდა გაეკეთებინა, ყური მოიყრუეს და ამ დუმილით აშკარა ლოზუნგი მისცეს ამომრჩევლებს ვ. დ. გაბაშვილის გაშვებისა. ასეთი საქციელი ჩვენ მიგვაჩნია დიდ შეცდომად, ხოლო არჩევნები კი იმის მაჩვენებლად, რომ ქართველ საზოგადოების ერთი ნაწილი თავის მოქმედებაში საღ მოსაზრებით არ ხელმძღვანელობს, რომ მისი შეგნება ჯერ ისევ დაბალ საფეხურზედ სდგას და უმიზეზოდ და უაზროდ დღეს ისეთ ადამიანს აშავებს, რომლის თამამი ნაბიჯით გუშინ აღტაცებული იყო.

რა დასკვნა უნდა გამოიყვანონ ამ არჩევნებიდან მესამე პირებმა, იმ პირებმა, რომელთაც ყოველთვის უყვართ თავიანთი უმართებული საქციელი საზოგადოებრივი აზრით ამართლონ ხოლმე? რასაკვირველია ისინი ჩაიცინებენ, მაგრამ ისინი ჩაიცინებენ არა გენერალ გაბაშვილზედ, არამედ იმათზედ, რომელთა სახელით გუშინ გაბაშვილი მოუფერებლად და აშკარად სიმართლეს ამბობდა, და რომლებმაც დღეს ის არ დაინდეს. ასე ყოფილა, ასე იქმნება! ამ ფაქტებში გამოსჭვივის ტიპიური ქართული ჭკუა, ქართული საქციელი.

*
* *

ნინიას ფიქრები

I

გლეხი ნინია მელანაშვილი გახლავთ სოფელ № მცხოვრებელი და იმ დროს, რა დროსაც ეხება ჩვენი ამბავი, ნინია იქნებოდა სამოცდა ათს წელიწადს გადაცილებული. მართალია, ეტყობოდა,

ლისთვისაც ადამიანი ცხრა მთას გადალახავს“ და უნდა რაიმე ღონე ვიღონოთ, რომ წიგნი ხალხს დაუახლოვოს. მაგრამ ჩემის აზრით მარტო წიგნის ვაჭრისთვის მეტი %ის დათმობა არა კმარა, საჭიროა, მტკიცე და სანდო ორგანიზაციის შექმნა, რაც სწორედ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ უნდა იკისროს, რომ თავის გამოცემებსაც მოუპოვოს ბაზარი და სხვებისაგან გამოცემული სასარგებლო წიგნებიც გაავრცელოს.

მე მგონია, რომ ამ საქმის მოწყობა არც ისე ძნელი იქნება, თუ, რასაკვირველია, შესაფერ უნარს გამოიჩენენ.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას რომ მოენდომებინა ჯერ აქამდისაც შექმლი ამ საქმის გაძღოლა, რაც მისთვისაც ძალიან სასარგებლო იქნებოდა, თორემ ახლა, როდესაც თითქმის საქართველოს ყოველ დაბა-ქალაქში მოეწყო საზოგადოების განყოფილება და თითქმის ყოველ დიდ სოფელში დაარსდა სამკითხველო, სულ ადვილია ამ საქმის მოწყობა.

იანგარიშოს გამგეობამ, თუ რამდენი %-ის დათმობა იქნება სახირო მისთვის, რომ გამოცემის გავრცელება და გაყიდვა თავის თავზე მიიღოს, როგორც თბილისში, ისე პროვინციაშიც, და დარწმუნებული ვარ, ყოველი გამომცემელი 40—50 %-საც-კი სიამოვნებით დაუთმობს, ოღონდ იცოდეს, რომ ფული არ დაეკარგება და წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს მიიღებს გაყიდული წიგნებისას. გამგეობას კი შეუძლია დათმობილ %ის ნახევარი თითონ აიღოს, და ნახევარი კიდევ იმ განყოფილებას, ან იმ წიგნის მაღაზიასა, თუ კერძო პირს მისცეს, რომელიც წიგნებს გაჰყიდის. ამნაირად გამგეობაც მოგებული იქნება, წიგნის გამყიდველიც და წიგნის გამომცემელიც.

მით უფრო საჭიროა, ამ საქმის ამნაირად დაყენება დღეს, რომ ბევრი ავტორი თითონვე ბეჭდავს თავის ნაწერებს არა იმიტომ, რომ მოგება ნახოს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხს მიაწოდოს თავისი ნაშრომი და წიგნები კი გარდა წერა-კითხვის მაღაზიისა ვერავისთვის გოუგზავნია.

გაზეთებში ვკითხულობთ, რომ 1913 წელს გაყიდულა „ბუნების-კარი“—6,651 ცალი, „დედა-ენა“ 1 ნაწ.—32,531, „დედა-ენა“ 2 ნაწ.—20,887 და სხ.

ჩემის აზრით, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დანიშნულება მარტო ის კი არ არის, რომ სახელმძღვანელოები გამოსცეს და მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელებას მოახმაროს მთელი თავისი ძალღონე, არამედ ისიც, რომ იმას, ვინც წერა-კითხვა შეისწავლა, კვლავაც მიაწოდოს შესაფერი ქართული წიგნები და ნამდვილ ქართველ მამულიშვილად გარდაქმნას. ამის შესახებ კი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ჯერ არ უზრუნია, თორემ არც ასე ცუდ მდგომარეობაში იქნებოდა ქართულ წიგნების გავრცელების საქმე, როგორც დღეს არიან.

სახელმძღვანელოებს ხომ არიგებს გასასყიდად გამგეობა და რა უშავს, რომ სხვა წიგნებიც გაუგზავნოს სანდო პირთა და დაწესებულებათ? თუ არას მოიგებს, ხომ არას წააგებს და თავის დანიშნულებასაც უფრო კარგად შეასრულებს!..

გარდა ამისა არ იქნებოდა ურიგო, რომ ჩვეულებად შემოგველო და იმათთვის, ვინც დაბალ და საშუალო სასწავლებლებს ათავებენ, შესაფერი ქართული წიგნები მიგვეცა ხოლმე საჩუქრებად. ვიძახით, ახლანდელი სკოლა ჩვენ შვილებს გადაგარებისკენ მიაქანებსო და არაფერს კი არ ვაკეთებთ, რომ ეს პროცესი შევაჩეროთ!

სხვაგან თუ არა, იმ სკოლებში მაინც შემოვიღოთ, ეს ჩვეულება, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, როგორც თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიები და სხვა წერა-კითხვას გამავრცელებელ საზოგადოების სასწავლებლები, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ თავად-აზნაურობასაც არავინ დაუშლიდა, რომ იმ სასწავლებლებისთვის, რომელთაც ქართულ ენის რიგიანად დასაყენებლად სუბსიდიებს აძლევს, წელიწადში რამდენიმე თუმნის ქართული წიგნებიც გაეგზავნა ქართველ ბოვშების წასახალისებლად ქართული ენის კარგად სწავლისათვის.

ლუბუ მებრელი.



რომ ცხოვრებას მიეთელ-მოეთელა ბრვე ვაჟაკი და თეთრად გადაჰვენოდა თმა და უღვაწები, მაგრამ ბუნებით ჯანსაღ აგებულებას, სუფთა ჰაერს, წყალს, გაჟღერებულს გარჯა-შრომას ისე გავაჟღერებინა მისი აგებულობა, რომ მისი მოძრაობა, და მიხვრა-მოხვრა კიდევ სიამოვნებას გაგრძნობინებდათ. შერჩენოდა ცოცხალი მოძრაობა, ხალისი და ყოველივე საქმეს, რასაც კი მისი მარჯვენა შეეხებოდა, დაუზარებლივ, მარდად, ლაზათიანად და მოხერხებულად აკეთებდა. მისი სამური ურმული და ოროველა განთქმული იყო მთელს მხარეში და განცვიფრებაში მოჰყავდა მსმენელნი. ანკი რა შესადარებელია დღევანდელი გადაგვაჭებულ-გადასხვაფერებული ბიჭუქების სიმღერასთან!?!.. ანდა გაიგონებთ კია დღეს ძველს ნამდვილს ქართულ კილოიანს ტკბილს სიმღერას: ურმულს, ოროველას, მაყრულს, მგზავრულს, სუფრულს, ხეუროს, ყურშიოს და სხვა მრავალს! ძალიან იზვიათად, და ისიც, თუ არის სადმე ძველი ადამიანი დარჩენილი და იცის სიმღერა!.. მართლაცა და ბევრი ლამაზი გოგოსათვის გაუფრთხია მთვარიან ღამეში ძილი და ბევრი ქალის გული სამურად აუტოკებია ნინიას სასიამოვნო ხმას!.. გარდა იმისა, რომ ნინია კარგი მომღერალი იყო და იზვიათი ტკბილი ხმა ჰქონდა, ერთი საუკეთესო მუშაც იყო, და მის ხელში ყოველივე საქმე მადლიანს სახეს მიიღებდა ხოლმე. ამასთან იყო ძალზე პატიოსანი, ნამუსიან-სვინდისიანი ვაჟაკი და ნუ იფიქრებდით, რომ თუნდა მისი ძვირფასი, ნანატრი, საკუთარი ღვიძლი შვილი ყოფილიყო რაშიმე დამნაშავე და თუნდაც რომ შესძლებოდა მისი დაფარვა-გადარჩენა მაინც, ხელს დააფარებდა. ნინია ამბობდა ხოლმე: ადამიანმა ჯერ თავის-თავის გასამართლება უნდა იცოდეს და მერე სხვაც ისე გაასამართლოსო!.. ალბად ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ დღესაც, სამოცდა ათს წელს გადაცრლებული მოხუცი ყველას უყვარდა, შინაურს თუ გარეულს, დიდს-თუ პატარას, ქალს თუ კაცს და როგორც კი გაუჭირდებოდა ვისმე, იმასთან გარბოდნენ საკითხავად და რჩევისათვის. არამცთუ სოფელ № მთელს მაზრას პირზე ეკვრა: „პაპა ნინია, პაპა ნინიაო!..“

მართალია, ბევრი სიღარიბე, გაჭირვება, ჭირვარამი გამოიარა ნინიამ ცხოვრებაში, ვიდრე მართო სული იყო; მაგრამ რაკი წამოეზარდნენ ვაჟი-შვილები, წამოიწყა ხელი და შეიძინა ხუთი უღელი ხარი და კამეჩი, სამი კარგი ჯიშის ძროხა, ერთი ფურ-კამეჩი, ერთი კარგი ფაშატი ცხენი, ოთხი დე-

და-ლორი, ასი სული ცხვარი. დაიდგა კარგი ქვითკირის ორი მოზრდილი ოთახი თავის მარნით, ბოსელი, საცხვრე, სალორე, საბძელი. იყიდა ოცი დღის ნაფუზვარი, სამი დღის ვენახი. შვილებმაც განაგრძეს მამის სარისტიანად დაწყებული ოჯახის საქმე და დღეს ერთ საუკეთესო შეძლებულ გლეხის ოჯახად ითვლება ნინია მელანაშვილის ოჯახი...

II

იანვრის უკანასკნელი რიცხვები იყო. მართალია, ბუნებას თავისი სიტურფე-სიკეკლოუცე და მომხიბვლელი დაეკარგა მაგრამ კარგი დარები, ცხოველ-ყოფელი მზე, მოწმენდილი ლაყვარდი ცა, აქა-იქა ჩრდილებში თოვლი, ზოგან შავი ხნული ნაგვიანევი ნაფარცი, ზოგან მწვანე ჯეჯილი და ზოგანაც დარჩენილი გახუნებული ნამჯა-ბალახი, არ იყო მოკლებული თავისებურს ლაზათს და მიმზიდველობას. ნინია მელანაშვილის ორი ვაჟიშვილი იყო წასული სამუშაოდ ქიათურაში შექვახე-უწინ საწყევლი შავი ქვა, დღეს ცხოვრების წყაროდ გადაექცა ბევრს, და არა ერთი და ორი მშრომელს გლეხის ოჯახი გაკეთდა იქიდგან და მოიდგა სული. უფროსი ვაჟიშვილი აშენებდა ურემს, რადგან ერთ კაი ურმის მკეთებლად ითვლებოდა. მისი ვაკეთებელი ურემი და გუთანი ყოველთვის კარგს ფასში იყიდებოდა. სულ უნცროსი შვილი საქონლის მოვლას უნდებოდა და თითონ ნინიას კი გამოერეკნა ცხვარი საძოვარზე. ცხვარი შეფენილიყო ერთს ფერდობზე და გამალებული სქამდა გამხმარ ბალახს, ჯეჯილს და ეკალს. ნინია მოჰქცეოდა ცხვარს წინ, დაბჯენილიყო სინგურივით წითლად კომლში გამო. სულს კომბალს და ღრმად ჩაფიქრებულიყო.

ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ნინიას ბევრი ჭირვარამი გადახედა, ბევრჯერ გამწარებია სიცოცხლე. თუნდა ის რათა ღირდა, რომ სულ ოცდა შვიდი, ოცდა რვა წლისა იყო, როდესაც დამარხა პირველი საყვარელი ცოლი და ორი ვაჟიშვილი!? ეს შემთხვა სულ ერთ თვეში. დღეს მეორე პირი ცოლ-შვილი ჰყავს... დიახ, ათი ათასს გასაჭირს გადუვლია ნინიას თავზე, მაგრამ სალიკლდესავით დახვედრია ყოველს გასაჭირს და მშვიდობით, უვნებლად გამოსულა!.. მაგრამ სულ სხვა დღევანდელი მოულოდნელი გასაჭირი; იგი მძიმე ლოდივით დასწოლია გულზე ბრვე ვაჟაკს და თითქო მის გასრესას ლამისო, სულს უხუთავს, კრიქას უკრავს, გულღვიძლს უღრღნის!.. დადის, დგას, ზის, წევს, სქამს, სვამს თუ საქმიანობს, თავიდგან აღარა შორდება.

იმ დღიდან, რა დღესაც შეესმა, რომ უნდა „გადაგასახლონო“, მას რიგიანად ვერ მოუსვენია და ათასგვარი მწვავე ფიქრები წაიღებს ხოლმე.. აი დღესაც წაიღო შავმა ფიქრებმა.

„უნდა გადამასახლონ, ამყარონ მომავლონ ჩემს კერას?! ეეე! იღიდოს ღმერთო შენი სახელი და სახსენებელი! რამდენი უსმართლობა, უსვინდისობა ხდება ქვეყნად!? აბა ვინ მოსთვლის, რამდონი თაობა შობილა, აღზრდილა აქ, ამ მიწა წყალზე, ჩაუყრია თავისი ჯან-ღონე, დაუღვრია ოფლი, სისხლი, შესჩვევია, შეთვისებია, ძვალ-რბილში, გასჯდომია აქაურობის სიყვარული; ღარიბი გამდიდრებულა, მდიდარი გადატაკებულა!.. ერთს თაობას უცვლია მეორე თაობა; მეორეს მესამე, ასე მომდინარეობს უხსოვრის ღროიდან, მამა-პაპით, პაპის-პაპით, ათადან-ბაბადან და დღეს, უცებ მოურავილაცა არა მკიოხე მოამბეს თავში, რომ აქ ამ მიწაზე კარგი კახარმები გაკეთდებაო, ჯარის კაცები აქ თავისუფლად ითარეშებენ, ისწავლიან „ნაპლეჩოსაო“, თუ რა ვიცი რალაცა ჯანდაბა-დოზანასაო, ხალხისავე გასაყლეტ-დასახოკათო და ჰაიდა, აიყარე ნინია მელანაშვილა!... ჰოო და რა არის, მე ხომ იმიტომა ვარ გაჩენილი ამ ქვეყნად, რომ ვისაც უნდა წამომკრავს წიხლს ადვილათა!? მეტკინება თუ მეწყინება ამას ვისთვის რა ფასი აქვს, ან რა დიდი ბედენაა, მე ხომ გლეხი ვარ კაცად, ადამიანად არ მიჩნეული!?.. ფეე! მერედა და, სად არის სამართალი, ნამუსი, სვინილისი, ადამიანობა?! ახა დიდება შენთვის ღმერთო! არა მკითხე მიაშვო, მიტყიპე და მიაგდეო ნათქვამია!.. ბიჭო, მე აღარასა მკითხავენ!? მე ან ხმა ან სიტყვა აღარა მაქვს!? არა, მე ადამიანი არა ვარ მართლა?!.. აიმე, რალა მე გავხდი ყველას ადვილად ხელის წამოსაკრავი ამ ვერანაწუთი სოფელში?!.. ეე, ვინც არა მგონია მე მიკაკუნებს თავში და ნეტავი ვიცოდე ვის რა შევეცოდე, ვის რა დაუშავე?!. თუ იმას ამბობენ, რომ მე გლეხად დავიბადე?!. ეე, და მერე რა არი?!. არ ვემსახურები ღმერთს, მეფეს, ბატონს, მტერს, მოყვარეს, შინაურს თუ გარეულს!?. განა მე მჩვარი, ნაფოტი ვარ, რომ ვინც მოინდომოს ამომკრას წიხლი და გადამისროლოს საითაც მოისურვებს!?

ჰმ! უნდა ამყარონ გადამასახლონ, მომავლონ ჩემს მიწა წყალს, ჩემს სალოცავებს, ჩემი მშობლებისა და ცოლშვილის საფლავებს. ჩემს კერას! მერე რა წვითა და დაგვით, რა ტანჯვა წვალეებით ამუნებულნი აკოწიწებულნი!? ოფლითა და სისხლით შეძენილს მამულს, ჩემს ხალხს, მეზობელს, ნათელ-

მბრონს, ნათესავს!?. რათა, ნეტა ვის რა დაუშავე, ვის რა შევეცოდე!? გამიგონია უწინ თურმე ლეკი-ანობა-ყიზილობა-შობა ყოფილა; დაგვეცემოდნენ ხოლმე თურმე ათასი ურჯულო ხალხი და გვეკლებდნენ!.. ეს რა, ლეკიანობა არ არის!?.

III

ავიკილა ყოველივე ჩემი წმიდათა წმიდა და თან წავილო!?. რომ არ მოხერხდება რომ არ შეიძლება?! ეეე! აქ რალაც გაუგებრობაა! ან მე დავბერდი, გამოვჩერჩეტდი, აღარა გამეგებარა, ან და ყველა ისინი, ვინც ხმა გაავრცელა და ლაპარაკობს გიჟია არა გაეგებარა!.. მართლა ხუმრობა ხომ არ არის ამოდენა ხალხის აყრა-აქოთება თავის ქვეყნიდან და გადასახლება სხვაგან!?. მაშ რად დავგიბარეს, რათა გვეკითხეს შეფასება ჩვენი მამულისა, სახლისა და ავეჯისა?!.. იმისთანა წარჩინებული, ხელმწიფის მოსამსახურე პირები ბრძანდებოდნენ!.. ეეე, რა ძრიელ უხაროდათ ზოგიერთა ჩვენ თავდაზრატურებს, სიხარულით ფეხზე აღარა დგანან და გაიძახიან: არიქა, ჩქარა ერთი ფულეები მივილოთო! ჰაი გიდი რა ეადვილებათ ამ დალოცვილიშვილებს მამულის თავიდან მოშორება! მამიჩემისაგან გამიგონია: ჩვენი თავდაზნატურები სისხლსა ღვრიდნენ, რადგანაც უწინ მამულის შექმნა საქებური იყო და დღეს რა ამბავი ხდება! ოლონდ ფული კი, ფული გაუხსენოს ვინმემ, ერთი ბაზარში გაიკუნტრუშოს, წაიქეიფოს, ბანქო ითამაშოს და მამული, ქვეყანა ორივე ფეხებზე ჰკილია!.. ას თუმნიანს მამულს ოც თუმნად მისცემს!..

ჰო კარგი, ვსთქვით გადაგვასახლეს, რა შეგვიძლიან, ძალა აღმართის მხვენელია და ნათქვამია უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო!.. ჩვენც ხომ უპატრონო, უმწეო ხალხი ვართ!? ვინ გაიცხლებს ჩვენთვის თავს, ვის შესტკივა ჩვენთვის გული!? მედაჩემმა ღმერთმა ჩვენ აიმ სუმბუქ ბურბუმელასა ვგვევართ, რომელსაც ოდნავი ქარიც კი საითაც უნდა იქით გასტყორცნის და პირს უზამს ხოლმე!.. არა, ისე არ გვიშვრებიან!?. მაშ თუ ეს ასე არ იყვეს რატო არ იკათხავენ ი დალოცვილიშვილები ავიტანთ იქაურს ჰაერს, ჰავას წყალს, ნი-ადავს! ან და საიდანღა დავიწერო პირჯვარი და ავანთო სანთელი?! მე ხომ ჩემი ხატი-სალოცავები მაქვს! გარდა ამისა აქაური ნაცარი, რომ მირჩვენთან იქაურს გამტკიცულს ფქვილს? აქაური ჯოჯოხეთი რომ მირჩვენთან იქაურს იმათს სამოთხეს! არა, რას მომცემენ იმის ფასს, რომ ზაფხულში ჩვე-

ბიდან გამოსულმა სოფელმა აუკრძალა ასეთი თავ-
 გასულობა მანთაშევის კრეატურებს. აახუხულეს
 ორ სართულიანი ბარაკი და ისეთი დამპალი მასა-
 ლა ახმარეს, რომ 31 იანვარს, საღამოს ხუთ საათ-
 ზედ ექვსი კაცი ვერ შეიმაგრა და, როცა მუშები
 ატალახებდნენ პირველი სართულის ბანს, ჩატყდა
 ბოძები და მოჰყვა მასალასა და მიწას ქვეშ ოთხი
 კაცი. ორმა მუშამ დროზედ მოასწრო გადახტომა
 და ხიფათისაგან გადარჩენა. ფოდრიანიკებმა, რა
 დანახეს კატასტროფა მოხდაო, მოჰკურცხლეს სად-
 გურისაკენ და პირველი მატარებლით აპირებდნენ
 გაქცევას. დასტოვეს მიწის ქვეშ მყოფი მუშები,
 თითქოს წიწილები მოჰყოლოდნენ და არა აღამია-
 ნები. ისევ მეტეხელები მიეშურნენ და მებორნე
 პეტრე ავალიანმა დიდი მარიფათობა გამოიჩინა,
 ოთხი კაცი დაიხოცებოდა მიწის ქვეშ, რომ დრო-
 ზედ არ მიშველებოდნენ. ოთხი დასახიჩრებული
 კაცი გამოთხარეს და გაანთავისუფლეს მიწიდან,
 რომელიც თავზედ აწვათ. ნამეტნავად დაშავდა ვა-
 სო ღვინიაშვილი და სიკა ტატარაშვილი. პირველს
 თავი აქვს გატეხილი და ხელი ამოვარდნილი, აგ-
 რედვე წელიცა აქვს მოწყვეტილი. ექიმის აზრით
 მძიმე ფორმის დასახიჩრებას ეკუთვნის. სიკა ტატა-
 რაშვილს ფეხი, ხელი და ზურგი აქვს დაშავებული.
 შედარებით ამათთან ადვილად გადარჩნენ იოსებ ამ-
 ბარაშვილი და გაბო გეჯაძე. ორშაბათს ჩამოვიდა
 მეტეხში ქვემო-ქალის ბოქაული და ოქმი შეადგი-
 ნა. დაშავებულნი გაგზავნეს ახალქალაქის ქსენონ-
 ში.

ასე დაიწყო დიდებული შემოსვლა მანთაშევი-
 სსა თავის ახალ მამულში. ვნახოთ მომავალი რას
 გვიძღვის.

თრიონა.

უკანასკნელი ამბები

დეპუტატ გელოვანის საქმე

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან რა ბრალდე-
 ბა წარუდგინა „ფიქრის“ რედაქციამ დეპუტატ გე-
 ლოვანს. დეპუტატმა გელოვანმა განაცხადა, რომ
 ბრალდება-ცილის წამებაზედ არის დამყარებული
 და თავის დროზედ ამის საბუთებს წარმოვადგენო.
 დეპუტატმა სხვათა შორის ისიც განაცხადა, რომ
 ცილის მწამებელთ სამართალში მისცემდა. ეხლა

გაზეთი „ფიქრი“ ანგარიშობს, რამდენი დრო იყო
 საქირო, რომ დეპუტატს ან ერთი განზრახვა მოე-
 ყვანა სისრულეში, ან მეორე, გაზეთის ფიქრით
 დრო საკმაო იყო, რომ რედაქციას ან გასამართლე-
 ბელი საბუთები მიეღო, ან საბრალმდებლო ოქმი.
 მაგრამ არც ერთი არ მოხდა.

ამის შესახებ გაზეთი „ფიქრი“ სწერს:

„იქნება მისთვის ვერ შეასრულა მან თავისი
 წადილი, მისთვის ვერ მიგვცა მან პასუხის გებაში,
 რომ ჩვენ ამისი საბუთი არ მივეცით. ამიტომ „ფი-
 ქრის“ რედაქცია ისწრაფის დაეხმაროს თ-დ გელო-
 ვანს, მისცეს მას ამის საბუთი. ამიტომაც ჩვენ ხაზ-
 გასმით ვაცხადებთ, რომ დეპუტატი თ-დი ვარლამ
 ლევანის ძე გელოვანი აფერისტია; ის უბრალო
 მატყუარაა, რომელიც უნდა დასჯილ იქნეს სი-
 სხლის სამართლის წესით“.

როგორც მკითხველიც დაინახავს ბრალდება
 მართლა სავსებით ჩამოყალიბებულია და ბევრსაც
 მოთმინებიდან გამოიყვანს. ამ საკითხმა მთელი
 ქართველი საზოგადოება ააღელვა და დროა
 მას დასასრული მიეცეს. საქიროა სინამდვილე გა-
 მოიჩვენოს.

ორშაბათს, 10 თებერვალს, ქართულ კულტუ-
 რის მოყვარულთა საზოგადოება ქართულ თეატრში
 მართავს სალიტერატურო-სამუსიკო სასიმღერო სა-
 ლამოს. წარმოდგენილი იქნება ორ მოქმედებიანი
 კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“
 ვ. აბაშიძისა და ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით.
 სალიტერატურო სამუსიკო განყოფილებაში მონა-
 წილეობას იღებენ: ა. აღამიძე ი. გრიშაშვილი, ვ.
 ლორთქიფანიძე სოფ. მგალობლიშვილი, გ. ქუჩი-
 შვილი, ს. ფაშალაშვილი, ი. მკედლიშვილი, ლ.
 ჯანდიერი (ურმული), ი. საღირაშვილი (თარი). და-
 სასრულ იქნება პოეტების შეჯიბრება. საპრემიოდ
 წარმოდგენილია 17 ლექსი. პრემიებს დაანაწილებს
 სპეციალურად მოწვეული ჟიური. როგორც სჩანს
 საღამო საინტერესო შინაარსისა იქნება და ისედაც
 იმედია საზოგადოება ყურადღებით მოეპყრობა ამ
 ნორჩ საზოგადოებას და მხარს დაუჭერს.

რედაქციას მოუვიდა სილოვან ხუნდაძის მიერ
 შედგენილი პირველი წიგნაკი „ქართული ლიტერა-
 ტურის სახელმძღვანელო“. ავტორს განზრახული
 აქვს დრო და დრო ნიკოლოზ ბარათაშვილის გარ-
 და, სხვა მწერლებიც გააცნოს ახალგაზრდობას.
 ჩვენ თითქმის სრულიად არ მოგვეპოება ამგვარი

ნი მინდორი ათასფრად საყვარლად აყვავდება და ყვავილების სუნი გზენდავს—გათრობს!?. არა, ტყუილად კი არ უთქვამს იმ დედ-მამა განათლებულს ვინცა სთქვა: „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვის ქვეყნის სამოთხეზედა?“ ვადამასახლონ!? ბარემ აიღონ ხანჯალი დამკრან გულ-ღვიძლში და დამკლან ღორივით ის არ მიჩვენინან ათას წილად!?!“

ეს და ბევრი ამისთანა მწვავე კითხვები და ფიქრები ებადებოდა ნინიას და ის მოგონება, რომ უნდა გადასახლონ, მოაშორონ თავის ტურფა სამშობლო მიწა-წყალს, მწვავე შანთსავით უფელიდა სხეულში, გული ბოღმით უსკდებოდა, დამამშვიდებელს პასუხს კი არავინ აძლევდა? ისე გაიტაცა ნინია მწვავე ფიქრებმა, რომ სრულიად გადავიწყდა, რომ იგი მწყობრიდა ცხვარს. მოაგონდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოესმა ბეჩავი ბღაილი ცხვრისა. ნინია გამოერკვა უცებ, წატარტმანდა და კინაღამ წაიქცა. მიიხედა იქით, საიდან მოესმა ცხვრის ბღაილი და დაინახა, რომ ცხვარი ძრიელ შორს წასულიყო, გასჩენოდათ მგელი, დაეფრთხო და გაცოფებული დასდევდა!.. ეე, ამ ოხერამაც ჩვენზე მოიცალა!—წამოიძახა გამწარებულმა ძალზე და გაქანდა იქით ყვირილით, ცხვრის საშველად.

რ. ფავლენიშვილი.



კატასტროფა მანთაშევის „აშურიახში“

ჯერ კიდევ არ მოუკალათებია სოფელში კაპიტალს და უკვე გავხდით მოწმეები ხალხის უბედურებისა. ჯერ კიდევ გლახაკობას ვერ მოუწვდებოდა, რომ მას ხელიდან გამოაცალეს ის მიწა, რომელიც მათი ოფლით და სისხლით გაქვინდებოდა და ერთი სხვა ახალი უბედურება დაატყდა თავზე. პრესაში აღნიშნული იყო, რომ მანთაშევა დაიწყო კიდევ ახლად შექმნილი მამულის ექსპლოატაცია. მართლაც ქრისტიანობისთვის გვესტუმრნენ ინჟინრები თეოდოლიტებით და ნიველირებით და დაიწყეს ზომვა-გამოკვლევა. მეტეხელები ეკითხებოდნენ რას ჩადიხართ ან რას აპირებთო. აქ ცემენტის მიწა გამოჩნდა და ქარხნები უნდა გაშენდესო. მეტეხელებს გაუხარდათ: თუ მამული დაგვეკარგა—სამუშაო მაინც გავიჩინებდა და ზარალს

ცოტად თუ ბევრად ავინაზღაურებთო. ცოტა ხნის შემდეგ სოფელში ჩამოვიდა რამდენიმე საექვო პირი და იწვევდა ხალხს; „მანთაშევის „ფოდრაიჩიკები“ ვართ და მუშები გვჭირიაო; ქარხნისთვის საჭიროა ქვიშა და უნდა მთის ძირში, (სამი ვერსის მანძილია), გაცხავებული ქვიშა მოზიდოთო. ერთ კუბიკურ საქვენში რვა მანეთი შეაძლიეს გლახაკებს. ეს ისეთი მცირე ფასია, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი მიღება. გლახაკს ჯერ უნდა გაცხავებინა ქვიშა და მერე ოცდაათი ურემი აეზიდნა ამ სამი ვერსის მანძილზედ აღმართზედ. დღეში ძალიან ბევრი რომ ვსთქვათ, ერთი კაცი ორი უღელი ხარ-კამეჩით ოთხ ურემზედ მეტს ვერ აიტანდა. ჩვენში მუშა ახლა ძვირია, მანეთი დღიური ფასი, და ორი უღელი ხარ-კამეჩის ფასი აუნაზღაურებელი რჩებოდა. მეტეხელებმა ოცი მანეთი ითხოვეს. ფოდრაიჩიკები გაგულისდნენ, შეძლებული ხალხი ყოფილა აქ, გაჭირება არა სცოდნიათ რა არისო. ჩვენ ისევ კროსტანიდან ხალხს მოვრეკავთ და ვამუშავებთო. ამისთანა მცირე ფასის შეძლევა უნდა ვიგულისხმოთ, როგორც შედეგი ზემოდან ნაკარხები ინსტრუქციებისა. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამ ფასად არავინ იმუშავებდა. ხალხისთვის უნდა დაენახებინათ რომ ეკონომიური მოსაზრებანი გვანათავისუფლებენ ზნეობრივ მოვალეობისგანაო. მეტეხელებს ერთ კუბიკურ საქვენ ქვიშაში რვა მანეთს კაპეიკი არ მოუმატეს და კრუებს 15 მანეთად გაურიგდნენ. მეტეხელებს არაფერი „ბარაკები“ არ სჭირდებოდათ, არც თავიანთთვის, არც საქონლისთვის და ეხლა ამ გამოწერილ ხალხისათვის საჭირო გახდა „ბარაკები“. ამის აშენებას სულ უკანასკნელი სამი ათასი მანეთი დასჭირდება. ისე რომ ის მოსაზრება, მეტეხელებს ფასში ვერ მოურიგდით და კრუები გამოვიწერეთო, ეს ისეთი ლათაიებია, რომ თანამედროვე ხანაში ბავშვსაც ვერ დააჯერებენ. ბარემ პირდაპირ გამყდარონ თავისი პლანები: ჩვენ აქ გვსურს მოვაკალათოთ ერზერუმიო, ეს ოინები რალა საჭიროა. ახალი ხელშეკრულებით მანთაშევის „ფოდრაიჩიკებს“ იგივე უჯდებათ, რასაც მეტეხელები სთხოვდნენ და თვალთმაქცობა სულ მეტი იყო.

სოფლის დაუკითხავად, სოფლის მამულზედ გათხარეს გზა, რითაც ძველი საპორნე გზა გააფუქეს და ზარალი მიაყენეს როგორც სოფელს ისე მებორნე პეტრე ავალიანს. პირდაპირ საარაკო საქმეს სჩადიან; „ბარაკისათვისაც“ სოფლის მამულში ამოიჩინეს ალაგი და მუშაობა გააჩაღეს. მოთმინე-

შრომანი, რაც ახალგაზრდობას ძლიერ უძნელებს ჩვენი მწერლობის გაცნობას, რადგანაც ლძრავ ჟურნალ-გაზეთობაში გაფანტული ორიოდვე წერილი ძნელი ხელმისაწვდომია, და ბ. ს. ხუნდაძეს მადლობის მეტი არაფერი ეთქმის ასეთ შრომისათვის.

† მოსე ქიქოძე.

ამ დღეებში ქუთაისში მიწას მიაბარეს მოსე ქიქოძის გვამი. მოსე ქიქოძე ცნობილი იყო საზოგადოებაში, როგორც მესამოცე წლების იდეათა ცხოვრებაში გამატარებელი.

იგი დაიბადა 1845 წელს ს. ბახვიში — გურიაში, მამა მისი მღვდელი ათანასე ძმა იყო დიდი ქართველის გაბრიელ ეპისკოპოსისა. პირველ დაწყებითი სწავლა სახლში მიიღო. შემდეგ მიბარებულ იქმნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში და იქიდან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. კურსის დასრულებისას 1868 წელს მოსკოვს გაემგზავრა და 1870 წლამდის იქ დარჩა, ამ ხნის განმავლობაში იგი სწავლობდა იურიდიულ მეცნიერებას და სამშობლოში მსაჯულის თანამდებობით დაბრუნდა. ამ თანამდებობაზედ მან 1887 წლამდის დაჰყო და შემდეგ ნაფიც მსაჯულთა კორპორაციაში ჩაეწერა, რომელსაც არ ჩამოშორებია სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, როგორც ვეჭილი იგი ცნობილი იყო ვით საქმის დიდი მკოდნე, მჭერმეტყველი და ფაქიზი პიროვნება. თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში იგი არასოდეს არ ჩამორჩენია ცხოვრებას და მუდამ ინტელიგენციის ავანგარდში ითვლებოდა. არც ქართულ ჟურნალისტიკას იყო დაშორებული განსვენებული. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი მოთავსებული ჟურნალ „მნათობში“ განსაკუთრებით პოლიტიკურ-ეკონომიურ ტემებზედ. მისავე კალამს ეკუთვნის ეპისკოპოს გაბრიელის ბიოგრაფია.

მ ე ტ ო ქ ე ნ ი *)

ამბავი გურულთა ცხოვრებიდან ა. ტ. სნარსკისა.

ზულმი — მშვენება იქაური ქალებისა — ერთს ადგილას იდგა ზარმაცურ, ცოტად დაუდევრელი ტან-მოხრით. მთლად მოყვანილობა მისი მაღალი, წამოსადეგი ტანისა იმდენად შეწყობილი და სუფთოფი იყო, რომ მას შეეძლო ძალ-დაუტანებლივ მშვიდად და კოხტად დგომა.

*) იხ. „კვლევი“ № 5.

ნიაგი სახად და წყნარად უბერავდა და უწაწავდა მშვენიერ, ოქროსფერ თმას, ოდნავ უფრიალებდა კაბას, — ის კი იდგა გაუნძრევლად, მშვიდად. გეგონებოდათ, ვერ ამჩნევს, არა ფიქრობს, რაც ირგვლივ ხდებათ. გეგონებოდათ, ჯერ არ გამოფინილბუბულა ზმანებიდან, დაუდევარ და ბუნდურ ცხოვრებაზედ ტკბილს ოცნებიდან. მთლად იმისი ტანის მოყვანილობა ცოტად დაწვეული მხრები, უსახსროდ ჩამოშვებული ხელები, — ეველას აშკარავდება მის განახლებულს, ტკბილს, ფუფუნებისს, ზარმაცურს, მაგრამ შედიდურს, უცრემლ-უმრთა ცხოვრებას. მაგრამ ეველას ეს მართალი არ იყო. წინსვკერად დახურული წამწები უცბად მაღლა იწეოდა, და მისი ლურჯი, ადრეგებით გამოშვებული თვალები ნათლად ბრწყინავდნენ, ეგზნებოდნენ. ოჰ, არა! მშვიდი, უსიცოცხლო თვალები არ იყვნენ მისი თვალები. მათში ისტებოდა იმდენი ძალა, იმდენი გამბედაობა გამოჭკრთოდა მის შეკედვასა, რომ არა მორცხვი ემაწვილიც კი უნებლიედ ჩერდებოდა შორი-ახლოს მოწიწებით. ის უერს არ უკდება სანდროს, არ უტქეროდა, როდის დაიწეებდა ის თამაშს, — ეს მისთვის საჭირო არ იყო: ისეც კრძნობდა მის მიხვრ-მოხვრას, შეეძლო ისინი წინადავ დაენახა, გამოეცნო, ეგრძნო: იმათ არ უნდოდათ არც 'გარეშე ნიშანი, არც ტყვეის ტემში. იმათ შორის იყო რაღაც დამოკიდებულება, რაც ნებას აძლევდა გაეგოთ ერთმანეთის აზრი, მისწრაფება: ზულმის მოულოდნელად დატყრა არ შეიძლებოდა: გარეგნობით მშვიდი, ისე კი მთლად სიყინად გარდაქცეული, იმას შეეძლო ეოველ წყოს შეეფოთხრიალა და გასრიალებულიყო.

ასე იდგნენ ისინი ერთმანეთის პირდაპირ თამაშობის დასაწყებად განმზადებულნი. დაირას გაჭქონდა გრი-ალი, თითქოს ჯავრობეს, რას იტდიან და არ იწეებნო. უცბად მოულოდნელად ზულმი გაჩნდა შორს თავისი პირვანდელი ადგილიდან. რადა, რის გულისთვის იტვა-ლა ადგილი? ვერაფერს დანახა, თუ სანდრომ, როგორ ევლარ შესძლო რა თავის დატყრა, ზულმისკენ გაფრინ-და. ორი ნახტომით მის უკვე ზულმისთან გაჩნდა, მაგრამ თვით ზულმი ამ დროს შორს გაფრინდა. სანდრო შეჩერდა ზატარა ხანს, მიმოიხედა, გაუსკა რამდენჯერმე ფეხი და კვლავ ზულმისკენ გაქანა. ზულმი კი წყნარად, თითქმის შეუმჩნეველად უვლიდა გარსა, ტანს ოდნავაც არ არხევდა, და წინაზად თამაშებდა ფეხსა. ხან უცბად პირ-დაპირ სანდროსკენ წავიდა, — და მაშინ სანდროც — იქამდის გულადი და ფიცხი — უკან-უკან იწეოდა და თან კოხტად და მშვენიერად უსვამდა ფეხსა, თითქოს სერს უკან დახევის დროსაც დარსება შეირჩინოსო. ეგრე მიჭ-უვდა ზულმის სანდრო წრემდის და უცბად კოხტად შე-მოტრიალდებოდა. მოხიბლულივით მისდევდა სანდრო

უკან, მომლოდინე, თავისკენ მიექცია მშვენიერების უუ-
რადღესა. მაგრამ ცდა ამა იყო. ზულში მიდიოდა სულ
წინ. რაღაც აუხსნელი მომხიბლავი ძალა იხატებოდა მის
მიხვრა-მოხვრაში. ზულში არ იწვევდა თავისკენ სან-
დროს, გაურბოდა კიდევ მას, მაგრამ გაურბოდა ხუმრო-
ბით, თამაშობით, დარწმუნებულად, რომ ვერ გაბედავს
მის დაჭერას. მისი თვალები კი ისე იხე ბრწყინავდნენ,
უნათებდნენ გზას სანდროს, და ისიც, მოხიბლული სულ
წინ მიდიოდა ამ ნათელი, მბრწყინავი თვალებისკენ.

ვევლა უურადღებდა იქცა და რაღაც მოთმენლად
უნდოდა თამაშის გათავებს. არა სტოვებდნენ მისი კონ-
ტა მიხვრა-მოხვრის არც ერთს მხარეს. მაგრამ, ახ ბე-
ლოს შეეტყოთ, რომ ორთავენი იღებოან. ისინი მძი-
მედ სუნთქავდნენ, თუმცა კი განაკრძობდნენ ისევე ისე
ცქვიტად ცეკვას. ქარმა ზულმის თმა გაუწეწა, მშვენიე-
რი ნაწინავეები გაუშალა, ის კი სულ მიჭქროდა, როგორც
ოცნება, რომელიც კაცს იზიდავს, თავისკენ იწვევს და
ხელში კი არ უგარდება—მომხიბლელი, სანეტარი...

ვევლა განუმიდა, აღარავის ესმოდა, თუ როგორ
უგრავდა დაირა-სალამური. ზულში ისევე ისე ტრიალებდა
და თავის მოუღალავ იდეას რს გაურბოდა. ხოლო საითაც
წავიდოდა, მათკენ იხრებოდა ვევლა მატქერდის თვა-
ლი, ვევლა ტაშის სტემა, მხიარულობდა და ტკბილად
უღელავდა გული; გეგანებოდათ, საერთო გრძობათა
მიდრეკილება შეერთებულია აქ, ამ წრეში, გაუფიქრიათ,
შეუხუთავს თვით ჭკარი და, დაუთვრია რა თავისი ცხარე
სუნთქვით, გამოუცლია ნიდაცი მოცეკვავეთათვის, თავად
აუტანის ივინი, წაუღია, დაუტრიალებია, მიუცია მათ-
თვის გაუგონარი მოქნილობა, უნახავი სიმარჯვე. თით-
ქოს ქარს აუტანის ეს ამოდენა ხალხი და მიაქანებდეს
ზულმის კვლავად. ხოლო ის კი მდლა ადებული თა-
ვით, ნახევრად მოხუტული თვალებით, სიამოვნებისა და
სიხარულის დიშოლით მიდიოდა, როგორც სივარულისა
და ბედნიერების დიშოლის ქურუმი... ვევლა თრთოდა,
ვევლა შეერთდა მასთან სივარულისა, სიხარულისა და
ბედნიერების საერთო წყურვილში. ვევლაფერი, რაც კი
ბუნებას მოუცია, — ცხელი და მწველი მზე, მთელი ძა-
ლა, სიუმწვილე, სიცოცხლე—ვევლა აქ შეერთდა ამ
თავდავიწყებაში...

ზულში ვევე იღებოდა, იგი ხშირად და მძიმედ
და სუნთქავდა, ღოუები აუწითლდა; გული მდლა ასლი-
ოდა; თავს, დაბლა დაშვებული მძიმე ნაწინავი უკან ეწე-
ოდა. თამაში უფრო ნელი ჭქონდა. სანდრო კი უფრო
გაკულადდა; ის უფრო და უფრო ხშირად უხელოდებ-
ოდა და გვიან შორდებოდა; ის უნდოდა წუთს. ზულ-
მის შეტვი დონე აღარა ჭქონდა, ის თითოებოდა. ვევე
და კლოდა დასასრულს, რომელიც ახლო იყო. ვეველა-

ფერი აიძულებდა ზულმის სანდროსკენ მისვლას. გეგო-
ნებოდათ, ეს-ეს არის უნდა სანდროს ხელში ჩაუვარდე-
სო—მოქანტული, დადლილი, ნაჯობნი, და ისიც მოხ-
ვევს ხელს, გულზედ მიიკრავს მას—მომხიბლელს, სა-
ნეტარს, დაეკონება მის ბაკეს მწვევე კონით და საერ-
თო მხიარულება მიეკებება ამ ახალგაზრდა ბედნიერ
ქალ-ვაუს: ისინი ერთმანეთის დირსნი იყენენ! მაგრამ
ასეთია ჩვეულება-აღათის ძალა, თავდავიწყების დროსაც
კი უნდა იცოდე, რომ სანამ ზულში გახერდებოდა, სან-
დრომ მდლადა თავი დაუკრა და მადილა თავის ადგი-
ლას.

აღტაცების ძახილი აღმოხდა ვევლას გულიდან.
ზულში მთლად მოქანტული, ცეცხლმოდებული თითქოს
ნისლით დაბურული თვალებით, მაგრამ ბედნიერი თავისი
კამარჯვებით, მხიარული შეერთა ამხანაგთა გუხდს. მან არ
დაუკრა თავი სანდროს; მან უნახავს მხოლოდ ერთი შე-
ხედვით, მაგრამ სანდრო ამითაც ბედნიერი იყო: ის
იყო შეხედვა, რომელიც ქალს თავის უნებურად მოსწყდა
გრძობათა სიღრმიდან, ოდნავ დარცხვინდის თავის თა-
ვის სითამამით; სამაგიეროდ იგი იყო მართალი, მწვევი,
ბედნიერებით ბრწყინავდა: ამ შეხედვამ გამოამკარავა,
ზულმის გულის საიდუმლო, რომელსაც თვითონაც იქ-
ნებ ზირველად მიუხვდა. ოჰ, ის თავის დღეში ეტრე
არავის უტქეროდა: იგი სამადლობელი იყო, გოგო ამ-
ბობდა: „მიუვარხარ, მიუვარხარ,“ და სანდროც მხიარუ-
ლობდა, მისი გული ბედნიერებით იესებოდა.

მხოლოდ ერთი კაცი არა მხიარულობდა, არაფრით
არა ჭხატავდა თავის აღტაცებას; ის ვეველსზედ გვიან
მივიდა ლხინში, მაგრამ ისიც აკრედე გულ-მიხიბლით
უურებდა იმთ ცეკვას, აკრედე მთლად გრძობად იყო
გადაქცეული, მაგრამ ეს იყო ბოროტი გრძობა, შური.
„რატომ შე არა ვარ სანდროს ალაგას? მეც ხომ იმა-
ზედ ნაკლებ არ ვითამაშებდი?“ — ფიქრობდა ის. „იმას
უნდოდა მივარდნოდა, ხელი ეკრა სანდროსთვის, დაჭირა
მისი ადგილი, ხელში აეგვანა ზულში, გამჭრალიყო, მას-
თან ერთად. იმთ რომ თამაშობა გათავებს, ზურაბს უნ-
დოდა მისუღავო, იმასაც გამოეთხოვა ზულში სათამა-
შოდ. ზულში უარს ვერც ეტყოდა, მაგრამ მავსაც თავი
დაანება: ზულში, რასაკვირველია, მადიან დაიდალა. „და
ეგვც რომ არ იყოს, — უცხად აკრედე მას თავში, —
ჩემთან ის ისე არ ითამაშებს“. „არა, შემიტხვევა დაკარ-
გულია“, — გადასწყვიტა იმან. და ამ დროს შეამჩნია ის
შეხედვაც, რომლითაც ზულშიმაც დაჯილდოვა სანდრო.
იმან გაიგო ვეველაფერი და ბრავმორეული გაიქცა, წავი-
და შორს, რომ არ დაენახა, არ გაეგონა, არ მიელო
მხანწილეობა ხალხის საერთო აღტაცებაში. იგი მირ-
ბოდა, თითონაც არ იცოდა, საით, მხოლოდ იმიტომ

რომ ემძრავნა, დაღლილიყო, მიეცა თავისი გულის ბოღმა ქარისთვის.

სადამო უამი დგებოდა. მზე ოღნავ-და ესროდა სხივებს მთის წვერებს და ოქროსფერად ავარავრებდა ხეების ტოტებს. საქონელი მინდვრიდან სხელში ბრუნდებოდა. ქალები უკვე შემოჰყარდნენ თავის კერას. კანცებმა ღუქებისკენ გასწიეს. სამუსიაფოთა და თან ცოტადენი წითელი ღვინის დასაღვავდაც. ჩქარა სიბნელემა და სრულმა მუდრობამ მოიგვცა ის ადგილი, სადაც, ეს არის, ესეა ღელავდა და ხმაურობდა ხალხი.

გავიდა კიდევ ორი-სამი საათი და ქვეყნად გამოეფა დამე. გზაზე, წყლის დასწვრივ, სანდრო მოდიოდა. როცა ზუღში სხელში წავიდა, იმან ვეღარ შესძლო ამხანაგებთან მისვლა; იმდენი სასიხარულო იმედი ადგევდა მის გულს, რომ — ის ამას გრძნობდა სხე უმტუნებდა, ამხანაგები გაუგებდნენ საიდუმლოს და მასხარად აივლებდნენ მის „სანეტარო შეხედულებას“. სანდრო წავიდა შორს, რომ არავის შეხვედროდა. ის მიდიოდა ნელა, დიდინით და ტკბილად, მხიარულად იდიშებოდა.

ბადრი მთვარე მდლა იდგა და ირგვლივ მერთაღნათელსა ჭებენდა: მთებს, მინდვრებს და მდინარეს. დღე იყო ცხელი, მწვავი. მზემ თითქმის გააღწო მთლად მინდორ-ველი. თითქოს მთლად სიცოცხლე მისწვდაო. ბაღსმა და ფოთლებმა სიციხით თავი დახარეს. ქარი ფუტქდა, ჭერი არ იძროდა, წყალს კი არ ემჩნეოდა, დგას თუ მიდის, ზედაპირი იდგა და ტალღა არ აქანებდა მას, არც ჩხრიალი და არც სიცოცხლის სხვა ნიშანი ემჩნეოდა.

ესეა კი დაუბერა გრილმა ნიაგმა და მთლად ბუნება გამოაცოცხლა. მზის სხივები ნახად ჩაესვენენ მდინარის ცივს ტალღებში. მდინარეც, აქამდის უსიცოცხლო, ახლა შეინძრა, შეირხა, დატრიალდა და გასწია ქვევით ჩხრიალით. მის ზსუსად ახმაურდნენ ნაპირებზე ბუნჩები და ბაღანი, ფოთოლმა ნელა დაიწყო რხევა და მთლად მიდამო რაღაც საიდუმლო შრიალით მოიფინა, თითქოს დარცხვენელი, ნახი სიტუებო ერთდებოდნენ, მიმოდინდნენ, დედავდნენ, ხან მიხუმდებოდნენ და ხან ისევ დაიწვებდნენ ჩურჩულს. გეგოტებოდათ, დღის სიციხით დაუძღურებულნი ბუნებას, ესეა ჩქარობს ხარბად დაეწაფოს ამ გრილს ჭერს და ერთმანეთს გაუზიაროს ეგვლა ის, რაც დღის განმავლობაში ეტყებიოთ, ისწრაფვის, იღაზარავს, უური უგდოს, იხურჩულოს, ჭორავს. ეგვლას უხაროდა სიკრილეო, მაგრამ სიციხეშიც არ ჩაიარა უბრალოდ, — იმან გაავსო, შეასვა ბუნებას თავისთავი და ესეა შენახული ძალა, სიღამაზე და სითბო იწვევს გარედ. ეგვლა ერთმანეთს ეტყოდა, რომ ეუწ-

ვებიან თავისი სიუყარული, სიხარული, ოცნება და იმედი. ეგვლა აღერსდა იყო ქცეული და ხარბად იწვევდა მასუს. ქარი არ იყო, მაგრამ ფოთოლიდან ფოთოლთან, ბაღანიდან ბაღანთან ისმოდა ჩუმი ჩურჩული, საიდუმლო ღაზარავი, რაღაც სიცოცხლის სასიხარულო ამბავი და მითი დატკობდა. რა კარვად ესმოდა, როგორ წუერვილით სვამდა სანდრო მთლად ბუნების ამ ადტაცებულს ტიტინსა ის ხედავდა, როგორ ბრწინავდნენ სხივები, მიხუმდებოდნენ და ხელ-მეორედ აღმანათებდნენ: აგრევე უბრწინავდნენ ზუღმისაც თვალეები. იმას ესმოდა, როგორ მხიარულობდა ფოთოლი, ნახად ირხეოდა, და ოცნებობდა, თუ რას ეტყვის ზუღმის, ან ის რას უზასუებს თავისი ტკბილი ხმით. და გარემო ბუნების ადტაცებით დამთვრალი, შეერთებული მასთან ერთად თავისი გულით, იგი მიისწრაფოდა ერთი მიზნისკენ, ერთს სახატრელ ავადგ, რომელსაც დაესმო, დაეფარა მისთვის უოველივე ქვეყნად.

ზირ იქიო, მორე გზაზე, მაგრამ იმავე ადგილისკენ მიდიოდა ზურაბაც. მიდიოდა წუნარად, ნელა, თავდახრილი და თავის გარშემო ბუნების მხიარულებას ეურადლებას არ აქცევდა. მხოლოდ ნაცნობ სხელს რომ დაუახლოვდა, წელში გასწორდა და მთლად ეურადლებად ქცეული უფრო ნელა წავიდა, ფრთხილად, თითქოს რასმე ეზარებო. ის ეტყით იტყირებოდა აქეთ-იქით. რას უდრიდა, რის იმედი ჭქონდა? ეს არ ესმოდა. იმას უნდოდა გაეგო, რომ მას აქ არ უდრიდნენ. არც სიტუვით, არც შეხვედრით ზუღმა არ დაჭმირებია არაფერს. მაგრამ იქნება (რა არა ხდება ქვეყნად) რომელიმე ბრმა შემთხვევამ გამოიყვანოს კარზედ და ისინი ერთმანეთს შეახვედროს; შეაძლებინოს, ნახოს იგი, უთხრას, თუ როგორ ძლიერად უეგარს, თუ როგორ მზად არის მისთვის სიცოცხლე გასწიროს, თავი დასდოს, მთელს ქვეყანას შეეპროდოს, რომ დაიპეროს მისი გული და თავისი ძლიერი სიუყარულის უფლებით მფლობელობდეს მის გულში. აკერ, გამოხნდა კიდევ ზუღმის სხელი. გული საშინლად უტემს. ამას რას ხედავს? კარი წუნარად გაიღო და ქალი ფრთხილად მიიზარება ბაღში. ზურაბის შეცდომა აქ შეუძლებელია, ეს ნამდვილად ზუღში იყო. რას ნიშნავს? ზირველს წუთში ზურაბს უნდოდა მასთან მისვლა, უნდოდა ეთქვა იმისთვის ეგვლაფერი, მაგრამ შენერდა, რომ თავისი უცებ გამოცხადებით არ შეეძინებინა. კიდევ წუთი და შავი ჩრდილი გამოჩნდა ბაღიდან. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და ბაღის ხშირ ბუნჩებში ჩაიმახნენ. ას, ის არის — მეტოქე, წვეული სანდრო, გაუელვა ზურაბს თავში. მოველა ორივე, ესეაუხანჯლით ერთმანეთს გავაშორა, ან მოველა სანდრო და ხელად განთავისუფლდე შეჩვენებულს მეტოქესკან?

ზურაბმა არ იცოდა, რა ექმნა და ყოემობდა. უცბად არ მივარდა — მერე კი ვეღარა ჰქმნოა იმდენი ძალა. უცბად თავში აზრმა გაურა: „მაგან დამისხნა მე სიკვდილის-გან და ჩემი და ჩემისი ხელისგან“, და როგორც დატრიალი მხეცი, უკან გამოიქცა, და თავის ბედს სწვევლიდა. იგი უცბად განხდა იმავე გზაზედ წელის დასწვრივ: ჯერ მიდიოდა სოფლიდან მინდვრისკენ, მერე შეჩერდა, დაბრუნდა უკან, მივიდა განაპირა სხელამდე. ხელ-ახლად შეჩერდა დაფიქრებული და კიდევ უკან მინდვრისკენ დაბრუნდა. ეგრე მიდიოდა ის, წინ და უკან. ისა სწვევლიდა თავის თავს, რატომ მაშინვე არ მოგვალაო. „აი ესეა ის იქ არის იმასთან, მე კი აქ ფუჭი სიბრახით ტყუილად ვარაჯუნებ კბილებს.“ და იგი გაბედულად ბრუნდებოდა სოფლისკენ. მაგრამ გაბედულობა თავს ანუბებდა: მას თითქოს იმ კარის ზღურბლის გადაბიჯება არ შეეძლო. „მოგვლა სანდრო — ჩემი ძმა, ძმაზედაც მეტი? ჩუენ ერთმანეთს შეგვიტყობ: ნუ თუ ჩემი სიტყვა არად დიხს?“ და კვლავ ეძახდა თავის თავს შიშინანს, რომელსაც, შეკვიდიანთ, ვეკლავთ ვაანთვით, ვეკლავთ ვერი, რაც კი მისთვის ძვირფასია, და იგი განუძღვება, აიტანს მაგან. იმას აღარ შეეძლო რაღაც გადაწყვეტილებას დასდგომოდა და ხილთან დაჯდა. „ის აქ კავლის, გზა აქეთა აქეს“, ბოლოს გაიფიქრა იმან. რად უნდოდა ზურაბს სანდროს ხანჯა. ამისი თქმა თითონაც არ შეეძლო. იმას უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ის ჩრდილი სანდროს ეკუთნოდა. სომ შეეძლო ზურაბის ორთავის შოტეუება? მაგრამ მაშინ ვიდა უნდა იყოს შესაძლებელი ადლებებით ზურაბმა ვეღარ შესძლო ჯდობა და ცდა, წამოეღო და დაიწყო მოუსვენრად აქეთ-იქით სიარული.

მთვარე ისევ ისე მშვენივრად ანათებდა ქვეყანას, და ბუნება კვლავ უღელდადებდა შემოქმედს. მაგრამ ვეკლავს ეს არ ასიაშინებდა ზურაბს. წმინდა, ანკარა წყალი მთვარის მოთამაშე სხივებით, ბუნების და ბაღახის შრიალი, მდინარის ჩქრიალი, — ვეკლავს მას აბრაზებდა, აჯვარებდა. იმას ეკონა, მთლად ბუნება დასცინის, და მისი შერცხევის ამბავი გააქვს შორსაო. აი მთვარეც იმალება მთას იქით, თითქოს უნდა დასცინოს, მერე დიდს მთას მოეფაროს და ბორბოტ-გრძნობებ აშლილი სიბნელეში დასტოვოს. ირგვლივ ვეკლავთ სანდროს, მტრულად ეჩვენებოდა იმას.

ზურაბმა არ იცოდა რაიმედენი დრო გავიდა: ეოკვლ შემთხვევაში საკმარისია, რომ მას არა ერთხელ მოეკონა თავისი მახლობელი წარსული და ახლანდელი დრო: წვეული ტყევა. რომელმაც გადასწვრიტა ვეკლავთ ვერი, ზურაბის შეხედვა, და ის, თუ როგორ აქამდის ამავე ზურაბი, ორჯულ ერთს დღეში გარბის შერცხევილი, რომ არ დაინახოს არავინ და არავერი. „აიქ,

ხალხთან, მხოლოდ განგებ დაუკრას სანდრომ თავი ზურაბის; აქ კი, ბაღში, ორი ახრდილი შეერთდა ერთად, და სიბნელეში ჩამალა წვეულები!“

ექვნი არ იყო, ეს სანდრო მოდიოდა; რასაკვირველია ის არის, ამისი სიარული... რა ჰქმნას ზურაბმა? ნუ თუ მივა, სანდროს ხელს ჩამოართმევს მიესალმება. ბედნიერებით მთვრალი სანდრო კი ზიზღით შეხედავს ზურაბს, ძლიან გულ-გურგვილისა და სულელს. და ზურაბი ისე სწრაფად განხდა გზის პირად, რომ სანდრო, რომელიც სახლისკენ მიდიოდა, შეკრთა, „ზურაბი“, — ძლივს მოასწრო თქმა, და ხანჯლის პირი დრმად ჩაერკო გულში და, მის ძირს დატეხულ გვამთან, დაეცა ზურაბიც ჩურჩულით: „ჰო, ეს მე ვარ — ზურაბი“...

ზურაბს არ მოუფიქრია, წინაღვე არ გადაწყვეტილი არაფერი იმან მხოლოდ დაინახა თავისი მტერი და ერთის გადასტომით გადასწვრიტა საკითხი და სამუდამოთაც. ის ესლაც არა ფიქრობდა არაფერზედ: არც წარსულზედ, არც მომავალზედ; არც ერთი აზრი არ მოსდიოდა თავში. ისა გრძნობდა მხოლოდ რაღაც შეებას: აქამდის რაღაც აწუხებდა, რაღაცას ფიქრობდა. ესეა კი ტვირთი მოიშორა. ის იჯდა და უაზროდ, გაუგებრად იტყვიებოდა ცის სიგრძეში.

განთიადი მოტანებული იყო. დადალული ბუნება ისვენებდა. მიწა იყო შავი, ცივი, ნამისკან მთლად სველი. მთვარე ჩავიდა და მიბნელებულ ჰაერში ხეებზედ ფოთოლი აღარ სჩანდა. მხოლოდ ცოტა მომისხო ტოტები და გამოიფურებდნენ შავად. ცაც ჩამობნელდა, დიდ კარვად გადაეფარა დედა-მიწას და აი ფარდულის ქვეშ, რომელიც თითქოს დაბლა დაიწია, მთლად სიცოცხლე მიეცა გამოურკვეველი ძილს: არავითარი ხმა აღარ არდევდა მუდროებას. დაღვა ყრუ და უსიცოცხლო ჟამი, როცა თვით აღმინის ტვირთი კი ვარდება უაზრო და დრმა ძილში, და გრძნობა ვეღარ უწევს მას.

მაგრამ, ბოლოს, შორს აღმოსავლეთით, სადაც დედამიწა ერთდა თავის სახურავს, ცა ოდნავ შეწითლდა. პირველი სხივები ამცოცდნენ, მოედგნენ მინდორ-ველს და გამოადვილეს ქვეყანა. ისინი შეეხნენ ზურაბის თვალებსაც და თითქოს ამოსწვეს ივინიო. ზურაბი უცბად კვლავ ცხვრებდას დაუბრუნდა. იმან იგრძნო, რომ იმის ხელ ქვეშ რაღაც სველია, რაღაც ეკრობა... დახედა, სისხლია! მაგრამ ვისი? იმან მიმოიხედა და ვეკლავთ ვერი ცხლად წარმოუდგა თვალწინ: „მე მოგვალი სანდრო“, — სასოწარკვეთილებით წამოიძახა მან. ძლით ამართავა ხანჯალი სანდროს ჭრილობიდან, მტკიცე ხელით ჩაიკრა თითონ გულში და მკვლარი დაეცა თავისი შეტობრის გვერდით.

დილითა ნახეს ორი ამხანაგი — შეტოქე, მუშიდად მიძინებულნი უკანასკნელი, საუკუნო ძალით.

დაიწიეს კითხვა გამოძიება, მაგრამ ნამდვილად ვერაფერს გაიგო, რა მოხდა... ეს მკვლელთა იყო, თუ ორი თავისმოკვლა.

გ. ნამორაძე.

კიდევ ამ კომისიის სხდომას. მართალია, სხდომაზედ დაუგვიანდა და თქვენი მოხსენება არ მოუსმენია, მაგრამ არამცთუ ამ მოხსენებას, მთელ ამ საკითხის ისტორიას ზედმიწევნით იცნობს და თუ ვისთვისმე საჭირო იქნება, თავის დროზედ გამოამყვანებს.

პატივისცემით რედაქცია.

ღია ბარათი კ. ყიფიანს

მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს, სრულის ქეშმა-რიტებით გაცნობით ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობის ამბავი. ჩვენი ჟურნალის წარმომადგენელი იმ კომისიის წევრად იყო მიწვეული, რომელსაც უნდა აღენიშნა ხსოვნა დიმიტრი ყიფიანისა, და დაესწრო

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

1894 წლიდან 

 **1914 წლამდის**

ს ა უ კ ე თ ე ს ო დ გ ი ნ ო დ ი თ ვ ლ ე ბ ა დ გ ი ნ ო

 საზოგადოება „**კ ა ხ ე თ**“ -სა 

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.